DisboPOX W 447
2K-EP-Universalharz, wässrig

2 კომპონენტიანი - ეპოქსიდური ფისის საღებავი წყლის საფუძველზე, კედლების შესაღებად და იატაკების, რომელზეც შესაძლოა იმოძრაოს საბურავიანმა ტრანსპორტმა. ასევე დაბალი ან საშუალო დატვირთვების მქონე იატაკების შესაღებად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

იატაკის ზედაპირები:
მინერალური იატაკის ზედაპირებისთვის და მყარი ასფალტის ზედაპირებისთვის, ინდუსტრიული და კომერციული შენობების შიდა სივრცეებში გამოსაყენებლად. მაგალითად: წარმოება, მომარაგების და სავაჭრო სივრცეები, კომუნალური მომსახურების სფეროები, საქვაბე ოთახები, საწყობები, არქივები, მაღაზიები, საცავები, დერეფნები და გადასასვლელები, ავარიული გასასვლელები და კიბის უჯრედები.

კედლის ზედაპირები:
კედლის მინერალური ზედაპირებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან ნესტის, ძლიერი ქიმიური და სადეზინფექციო ნივთიერებების ზემოქმედებას. მაგალითად: სავადმყოფოები, სავენტილაციო უჯრედები, ლაბორატორიები, კვების და სასმლის ინდუსტრიული წარმოებები. Capaver Glasgewebe და Capadecor AkkordVlies-Z-ის შპალერის შუალედური და დამასრულებელი ფენა.

თვისებები

- სადეზინფექციო საშუალებების მიმართ მედეგი
- შესაფერისია და შემოწმებულია კვების მრეწველობაში გამოსაყენებლად
- დეზინტამინაციის მიმართ მედეგობა DIN 25 415-ის შესაბამისად
- დიფუზიური
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში (გაფრქვევა)

პროდუქტი შემოწმებულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ - მგრძნობიარე სივრცეებში სამშენებლო მასალების გამოყენებისთვის.

მასალის შემკვრელი

2 კომპონენტიანი - ეპოქსიდური ფისი, წყლის საფუძველზე

შეფუთვა

სტანდარტული:
5 კგ, 10 კგ პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი,
40 კგ კონტეინერი

ColorExpress:
10 კგ პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი

ფერი

სტანდარტული:
5 კგ კონტეინერი: Kieselgrau (დაახლ. RAL 7032)
10 კგ კონტეინერი: Kieselgrau (დაახლ. RAL 7032), Betongrau (დაახლ. RAL 7023), Lichtgrau (დაახლ. RAL 7035), Achatgrau (დაახლ. RAL 7038), Cremeweiß (დაახლ. RAL 9001), Weiß/თეთრი.
40 კგ კონტეინერი: Kieselgrau (დაახლ. RAL 7032), Lichtgrau (დაახლ. RAL 7035), Achatgrau (დაახლ. RAL 7038). ინდივიდუალური ფერები შეკვეთით.

ColorExpress:
მასალის შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის სისტემაში არსებულ 21000-ზე მეტ ფერის ტონში. ექსკლუზიური ფერის არჩევა ასევე შესაძლებელია FloorColor plus-ის ფერთა კოლექციიდან.

ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი პრიალა, G2

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 18 თვეა.
დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,4 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ 35 µm/100 გ/
- დიფუზიის მიმართ წინააღმდეგობის მაჩვენებელი µ (H2 O): მ2 დაახლ. 40.000
- გაცვეთის მაჩვენებელი ტაბერის მიხედვით: 99 მგ/30 სმ2

ქიმიკატების მოქმედების წინააღმდეგობა

ქიმიური წინააღმდეგობის ცხრილი, რომელიც დაფუძნებულია EN ISO 2812– ზე, 20 ° C– ტემპერატურის პირობებში	
	7 დღე
ძმარმჟავა 5 %ig	+ (V)
მარილმჟავა 10 %	+ (V)
გოგირდის მჟავა ≤ 10 %	+ (V)
ლიმონმჟავა 10 %	+
ამიაკი 25 %	+
კალციუმის ჰიდროქსიდი	+
რკინის III ქლორიდის ხსნარი, გაჯერებული	+ (V)
ლიზოფორმის ხსნარი 2 %	+
მაგნიუმის ქლორიდის ხსნარი 35 %	+
გამოხდილი წყალი	+
მარილის ხსნარი, გაჯერებული	+
უაით-სპირიტი	+
ბენზინი	+
მაზუთი და დიზელის საწვავი	+
კოკა-კოლა	+ (V)
ყავა	+ (V)
წითელი ღვინო	+ (V)
ტრანსფორმატორის გამაგრილებლები	+
სიმბოლოების განმარტება: + = მდგრადი, (V) = ფერის შეცვლა	

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

იატაკის ზედაპირები:
შიდა სივრცეებში მინერალური ზედაპირები (მათ შორის: ბეტონის, ცემენტის, ანჰიდრიტის იატაკები) უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური/გამყოფი ნივთიერებებისაგან (ზეთები, ცხიმები, მტვერი, ფხვიერი ნაწილაკები და ა.შ). ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.5 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას: ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი).
მყარი ასფალტის ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს სიმკვრივის კლასს - IC 15 და არ უნდა დეფორმირდეს მოცემული ტემპერატურის პირობებში და მექანიკური დატვირთვების დროს.

კედლის ზედაპირები:
DisboPOX W 447 გამოიყენება Capaver Glasgewebe-ეს, Capaver AkkordVlies-Z,-ეს DisboFEIN 332 Spachtel-ის, DisboCRET 505 Feinspachtel-ის და Caparol-Akkordspachtel KF-ის დასაფარად. ადგილზე უნდა შემოწმდეს PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშებთან თავსებადობა. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 0.8 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 0.5 N / მმ2– ზე დაბალი. ზედაპირი და გამოყენებული მასალა ნესტიან სივრცეებში უნდა იყოს ტენიანობის მიმართ საკმარისად მედეგი.

ზედაპირის მომზადება

წყლის ჭავლების საშუალებით ან მშრალი მექანიკური წესით დანაფარის საწინააღმდეგო მიმართულებით მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა.
მყარი ასფალტის საფარის შემთხვევაში, მომზადებამ უნდა აჩვენოს აგრეგატის მინიმუმ 75%.
აუცილებლად მოაშორეთ ძველი 1 კომპონენტიანი საღებავები და ფხვიერი 2 კომპონენტიანი დანაფარები.
მყარი ეპოქსიდური (EP) დანაფარები საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს. დაამუშავეთ ზედაპირი გასაშლიფი ღრუბელით და დაგრუნტეთ საგრუნტავით: Disbon 481 2K-EP.
მცირე დეფექტები და ბზარები შეავსეთ Disbocret®-PCC-Mörtel-ით ან Disboxid EP-Mörtel-ით.

აუცილებელია დაცული იყოს: BEB სამუშაო ფურცელი KH-0 / U *-ის და BEB სამუშაო ფურცელი KH 1-ის* და ასევე 2.5 ცხრილის ; ბეტონის ელემენტების აღდგენის და დაცვის დირექტივები! სარემონტო სახელმძღვანელოს „რკინაბეტონის გერმანიის კომისიის“ მე –2 ნაწილი.

* ფედერალური ასოციაცია Estrich und Belag e.V., 53842 Troisdorf-Oberlar

მასალის მომზადება

კომპონენტი B (გასამყარებელი) დაამატეთ კომპონენტს A (ძირითადი მასა). ინტენსიურად შეურიეთ, ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ.

შერევის კოეფიციენტი

კომპონენტი A (ძირითადი მასა) : კომპონენტი B (გასამყარებელი) = 3 : 2 ნაწილები წონის მიხედვით.

დატანის მეთოდები

მასალის დატანა შესაძლებელია ფუნჯით, გორგოლაჭით (ფაქტურიანი პოლიამიდის გორგოლაჭი, ბეწვის სიმაღლე: 11მმ) ან უჰაერო მიფრქვევის დანადგარით (Airless, ფილტრის გარეშე, ნახვრეტის სისქე: 0,015–0,017ინჩი, მიფრქვევის კუთხე: 45°, წნევა მიფრქვევისას: არა ნაკლებ 50 bar-სა, გორგოლაჭის გადატარება აუცილებელია).

ერთგვაროვანი დანაფარების მისაღებად და გადაბმის ადგილების ზოლოვან ლაქებად გამოჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით - “ სველი-სველზე“ მეთოდით. დიდი მოცულობის ზედაპირებზე საჭიროა რამოდენიმე ადამიანის ერთობლივი მუშაობა ან ზედაპირის მცირე ნაკვეთებად დაყოფა.

მასალის ფენის სისქის უკიდურესმა გადაჭარბებამ, შესაძლოა გამოიწვიოს გამყარების პროცესის რღვევა და მასალის აქერცვლა.

დაფარვის სტრუქტურა

საგრუნტი დანაფარი:
მინერალური ზედაპირები დაგრუნტეთ DisboPOX W 443-ით (ფუნჯი).

მყარი ასფალტის ზედაპირი დაგრუნტეთ 5-10% წყლით გაზავებული DisboPOX W 447-ით. თუ მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია, მექანიკურად მომზადებული მინერალური ზედაპირები შესაძლებელია დაიგრუნტოს 5-10% წყლით გაზავებული DisboPOX W 447-ით,

სუსტად შემწოვი კედლის ზედაპირები (Capaver-ის მინა-შპალერი Capaver AkkordVlies-Z, DisboFEIN 332, DisboCRET 505, Caparol-Akkordspachtel KF) დაფარეთ არაუმეტეს 5% წყლით გაზავებული DisboPOX W 447-ით.

საბოლოო დანაფარი
დაიტანეთ შუალედური და დამასრულებელი ფენები გაზავების გარეშე. სუსტად ფარვადი ფერების შემთხვევაში (მაგალითად: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი), შესაძლოა დამატებითი ფენის დატანა გახდეს აუცილებელი.

მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი:
მოცურების წინააღმდეგობის კლასი R 10, მიიღწევა დამატებითი ზომების გარეშე.

ხარჯი

საგრუნტი ფენა	
მინერალური ზედაპირები DisboPOX W 443	დაახლ. 200 გ/მ2
მყარი ასფალტის, სუსტად შემწოვი ზედაპირები DisboPOX W 447 5 - 10 % წყლით გაზავებული	დაახლ. 200 გ/მ2
Capaver-ის მინა-შპალერი და *Capadecor AkkordVlies-Z* DisboPOX W 447 მაქს. 5 % წყლით გაზავებული	დაახლ. 120–200 გ/მ2
უხეში ბათქაში	
DisboPOX W 453 DisboADD 942	დაახლ. 1.040–1.200 გ/მმ/მ2 დაახლ. 210–240 გ/მმ/მ2
ძირითადი დანაფარები	
იატაკის ზედაპირები (R 9) DisboPOX W 447**	დაახლ. 200–250 გ/მ2 თითო დატანა
არა სრიალა იატაკის ზედაპირი (R 10) DisboPOX W 447** DisboADD 947 Glasperlen, fine 75 - 150 µm (Slidestop)	დაახლ. 250 გ/მ2 დაახლ. 10 გ/მ2
კედლის ზედაპირები	დაახლ. 120–200 გ/მ2 თითო დატანა
ზედაპირის დეკორატიული გაფორმება (იატაკი)	
"ჩიპების" გაფანტვა DisboADD 948 Farbchips, 2 - 4 მმ, ან DisboADD 8255 Farbchips, 1 - 2 მმ	დაახლ. 30 გ/მ2 დაახლ. 30 გ/მ2
დამასრულებელი ფენა DisboPUR W 458**	დაახლ. 130 გ/მ2
მოცურების საწინააღმდეგო დანაფარები(R 11) DisboPUR W 458** DisboADD 947 Glasperlen, fine 75 - 150 µm (Slidestop)	დაახლ. 130 გ/მ2 დაახლ. 4 გ/მ2

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში დაახლ. 60 წუთი. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დროს იზრუნეთ სამუშაო სივრცის მუდმივ განიავებაზე, ვინაიდან წყლის აორთქლებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჰაერის ტენიანობის ზრდა. მოერიდეთ ორპირს.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 10 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას.

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში:
მინიმალური - 16 საათი, მაქსიმალური - 24 საათი. ეს ასევე ეხება პიგმენტირებულ, დიფუზიურ დანაფარებს. უფრო ხანგრძლივი ლოდინის შემთხვევაში, ზედაპირი უნდა გაიშლიფოს შემდგომი ფენის დატანამდე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 6 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 7 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

გამყარების/გამაგრების პერიოდში (დაახლ. 24 საათი, 20 °C ტემპერატურის პირობებში) დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დაზიანდეს ზედაპირი და შემცირდეს ადჰეზია.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით და საპნით.

მითითებები

სერთიფიკატები

აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

უსაფრთხო მოხმარების წესები

პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის.

კომპონენტი A (ძირითადი მასა):
მოარიდეთ ბავშვებს. თვალები და კანი დაიცავით საღებავის შხეფებისგან. თვალში ან კანზე მოხვედრისას გულდასმით დაიბანეთ წყლით. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და დამცავი სათვალე. შეიცავს: მ-ფენილენბიზი (მეთილამინი), 3-ამინომეთილ-3,5,5 ტრიმეთილციკლოჰექსილამინი.

კომპონენტი B (გასამყარებელი) :
შეიცავს ეპოქსიდის შემცველ ნაერთებს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 15 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

CE-მარკირება

CE

Disbon GmbH

Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

08

DIS-447-001248 EN 13813:2002

სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში გამოსაყენებლად
EN 13813:SR-E_{fl}-B1,5-AR1-IR4

აალების კოეფიციენტი	E_{fl}
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამედეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური მედეგობა	≥ B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4

პროდუქტის კოდი

GISCODE: RE 1/ ახალი კლასიფიკაცია 2019 წლიდან: RE 10

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

ალ. ქართველიშვილის ქ. N8,

0198 თბილისი საქართველო,

ელ-ფოსტა: office@caparol.ge

www.caparol.ge